აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

ბრძანება # 02-03/32

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ლოგოს დამტკიცების შესახებ

ბათუმი 2016 წლის 19 დეკემბერი

2016 წლის 26 აპრილის მაუწყებლის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, მუშაობა დაიწყო არხის რებრენდინგის პროექტზე (ამ საკითხზე სამუშაოების პროცესის მონიტორინგი და პროექტის მომზადება დაევალა მაუწყებლის ბრენდირებისა და პრომოუშენის სამსახურის ხელმძღვანელს ბერდია კუტუბიძეს).

2016 წლის 17 მაისის სხდომაზე მმართველმა საბჭომ განიხილა საკითხი არხის რებრენდინგზე გაწეული სამუშაოების შესახებ (მომხსენებელი ბერდია კუტუბიძე).

2016 წლის 28 ივნისის სხდომაზე მმართველი საბჭოს გდაწყვეტილებით, ბერდია კუტუბიძეს დაევალა პრეზენტაცია მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, მაუწყებლის ლოგოტიპის ცვლილებასთან დაკავშირებით.

2016 წლის 19 ივლისის მმართველი საბჭოს სხდომაზე ახალი ლოგო მოწონებულ იქნა.

2016 წლის 23 აგვისტოს სხდომაზე ბერდია კუტუბიძემ წარმოადგინა ბრენდირების (ახალი ლოგოს თიზინგის) სამთვიანი გეგმა.

2016 წლის 25 დეკემბერს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ გაიმართება პრეზენტაცია და წარმოდგენილ იქნება მაუწყებლის ახალი ლოგო (მომხსენებელი ბერდია კუტუბიძე).

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის მე-7 პუნქტისა და მუწყებლის დებულების 5.3.2 და 5.3.7 პუქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ლოგო შემდეგი აღწერილობით: „რომბისებურად განლაგებული არასრული კვადრატი, მარცხენა ზედა გვერდის შუა ნაწილში წყვეტით, წყვეტილი მონაკვეთის შუა ნაწილში კვადრატისებური წერტილით“ (გრაფიკული გამოსახულების დოკუმენტაცია თან ერთვის ბრძანებას 36 ფურცელზე).

2. მაუწყებლის სტრუქტურულმა ერთეულებმა საქმიან ურთიერთობებში იხელმძღვანელონ ახალი ლოგოთი.

3. საქმისწარმოების განყოფილებამ (თ.შანიძე-ნინიძე) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება მაუწყებლის ვებ-გვერდზე www.ajaratv.ge.

4. ამ ბრძანების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს მაუწყებელში მოქმედი ყველა ადრინდელი ლოგო.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების #30).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

სოსო სტურუა